

კომბინირებული დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები

VTB/COMBINED INSURANCE/2017/V1

წინამდებარე დაზღვევის პირობები შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ პირობებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

სექცია I. ზოგადი ტერმინები

- 1.1. **დაზღვევის ხელშეკრულება** - ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მზღვეველსა და დამზღვევეს შორის, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე დაზღვევის პირობებს, განაცხადსა და მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისის ერთობლიობას;
- 1.2. **ქონება** - უძრავი ქონება (საცხოვრებელი სახლი ან ბინა) და ავტოსატრანსპორტო საშუალება;
- 1.3. **უძრავი ქონება - დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის** საკუთრებაში / კანონიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლი ან ბინა;
- 1.4. **ავტოსატრანსპორტი - დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის** საკუთრებაში / კანონიერ მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტი;
- 1.5. **ავტომფლობელის პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე - დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის** ვალდებულება აუნაზღაუროს მესამე პირ(ებ)ს ავტოსატრანსპორტის მართვის შედეგად მესამე პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი;
- 1.6. **პოლისის დანართი # --- - მზღვეველის** მიერ გაცემული და სათანადოდ დამოწმებული დოკუმენტი, სადაც მითითებულია დამატებითი ინფორმაცია პოლისისათვის;
- 1.7. **მზღვეველი** - სს “სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი”, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას;
- 1.8. **დამზღვევი** - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც სადაზღვევო პოლისითა და განაცხადით განსაზღვრულ ქონებას აზღვევს მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას. თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამზღვევი იმავდროულად არის დაზღვეული;
- 1.9. **დაზღვეული** - პირი, რომლის ქონების მიმართაც ხორციელდება დაზღვევა (ქონების მესაკუთრე ან/და კანონიერი მფლობელი) და რომელიც უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების საფუძველზე მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება. უბედური შემთხვევისაგან დაზღვევისას დაზღვეულად განისაზღვრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი და მგზავრები, ავტოსატრანსპორტო საშუალებაში არსებული უსაფრთხოების ღვედების რაოდენობის შესაბამისად;
- 1.10. **მოსარგებლე** - პირი, მითითებული პოლისში როგორც „მოსარგებლე“, რომელიც ამ პირობების მიხედვით უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;
- 1.11. **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი იხდის ზარალის კომპენსაციის სახით;
- 1.12. **სადაზღვევო ლიმიტი** - ამ დაზღვევით გათვალისწინებული და პოლისში მითითებული მაქსიმალური ასანაზღაურებელი თანხა თითოეული სექციისათვის;
- 1.13. **მიმდინარე სადაზღვევო ლიმიტი** - სადაზღვევო ლიმიტი, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში უკვე ანაზღაურებული ზარალების გამოკლებით;
- 1.14. **სადაზღვევო პერიოდი** - დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია პოლისში;
- 1.15. **სადაზღვევო პოლისი** - დაზღვევის ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 1.16. **სადაზღვევო პრემია (პრემია)** - თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამზღვევმა დაზღვევის შესაძენად. პრემიის ოდენობა და გადახდის გრაფიკი განსაზღვრულია პოლისში;

- 1.17. **სადაზღვევო შემთხვევა** - შემთხვევა, რომლის დადგომის შედეგად წარმოიშვება **მზღვეველის** ვალდებულება აანაზღაუროს ზარალი;
- 1.18. **ფრანშიზა (არანაზღაურებადი მინიმუმი)** - თანხა, რომელიც არ ექვემდებარება **მზღვეველის** მიერ ანაზღაურებას და რომელიც აკლდება **სადაზღვევო ანაზღაურების** ოდენობას;

სექცია II. უძრავი ქონების (საცხოვრებელი სახლის ან ბინის) დაზღვევის პირობები

2. ტერმინთა განმარტება:

- 2.1. **ანტიკვარიატი** - განსაკუთრებული ისტორიული ან კულტურული ღირებულების მქონე ნივთები.
- 2.2. **აფეთქება** – სისტემაში გაზის წნევის მოულოდნელი მომატების შედეგად აფეთქება, ან აფეთქება, გამოწვეული საყოფაცხოვრებო საინჟინრო მოწყობილობების სისტემიდან აირის გაჟონვით;
- 2.3. **გრიგალი** - ჰაერის მასების მოძრაობის სიჩქარე აღემატება 32,6 კმ/წმ-ს, რასაც თან სდევს ნგრევა, შენობა-ნაგებობათა სერიოზული დაზიანებები, ხეების ამოძირკვა, ნათესების განადგურება;
- 2.4. **ვანდალიზმი** – ამ დაზღვევის მიზნებისათვის ვანდალიზმად მოიაზრება დაზღვეული ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება იმ პირის მიერ, რომელიც დაზღვეულ უძრავ ქონებაში მოხვდა დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის ნებართვის/თანხმობის გარეშე;
- 2.5. **კოკისპირული წვიმა** - წვიმა, რომლის დროსაც მოსული ნალექის რაოდენობა აღემატება 100 მმ-ს 24 საათში;
- 2.6. **მეწყერი** – თოვლის, ყინულის, ნიადაგის, კლდეების ან სხვა შემცველობის დიდი მასა, რომელიც სწრაფად ეშვება მთის ფერდობიდან;
- 2.7. **მიწისძვრა** – იგულისხმება რეგისტრირებული მიწისძვრის ბიძგები, რომელიც უშუალოდ აყენებს ზიანს დაზღვეულ უძრავ ქონებას და/ან ხანძარი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვია მიწისძვრის ბიძგებმა;
- 2.8. **ქარიშხალი** - ჰაერის მასების მოძრაობის სიჩქარე 24,5-32,6 მ/წმ-ში, რომელსაც თან სდევს ნაგებობათა მნიშვნელოვანი დაზიანება, ხეების ამოძირკვა;
- 2.9. **ქურდობა შეღწევით** – იგულისხმება დაზღვეული ქონების ფარული დაუფლება ან ამის მცდელობა მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზნით, ჩადენილი შენობაში ძალისმიერი შეღწევის გზით, კერძოდ, კარის, კედლის, ფანჯრის ან ცხაურის / გისოსების დაზიანების გზით. ქურდობად არ განიხილება იმ პირის მიერ ჩადენილი ქურდობა, რომელიც დაზღვეულ უძრავ ქონებაში დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლისან მისი/მათი ოჯახის ნებისმიერი წევრის ან მასთან/მათთან მცხოვრები პირის ნებართვით/ხელშეწყობით იმყოფებოდა ან დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის ნებართვის შესაბამისად დროებით ფლობდა მის/მათ ქონებას;
- 2.10. **ძარცვა, ყაჩაღობა** - დანაშაულებრივი ქმედებები, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, გარდა იმ პირის მიერ ჩადენილი ძარცვის ან ყაჩაღობისა, რომელიც დაზღვეულ უძრავ ქონებაში დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის ან მისი/მათი ოჯახის ნებისმიერი წევრის, ან მასთან/მათთან მცხოვრები პირის ნებართვით/ხელშეწყობით იმყოფებოდა ან მისი/მათი ნებართვის შესაბამისად დროებით ფლობდა დაზღვეულ ქონებას;
- 2.11. **შტორმი** - ჰაერის მასების მოძრაობა 20,8-24,4 მ/წმ-ში სიჩქარით, რასაც თან სდევს ნაგებობათა მცირედი დაზიანება, შენობების სახურავების ახდა;
- 2.12. **წყალდიდობა** – უჩვეულოდ დიდი მოქცევის, ტაიფუნის, ციკლონის, შტორმის, ქარიშხლის, კოკისპირული წვიმის, თოვლის დნობის ან ქარბუქის გამო მდინარის, ტბის, ზღვის, წყალსაცავის ნაპირებიდან გადმოსვლა და ამის შედეგად მიწის იმ ნაწილის დატბორვა, რომელიც ჩვეულებრივ წყლით არ არის დაფარული;
- 2.13. **ხანძარი** – დამოუკიდებლად გავრცელების უნარის მქონე ცეცხლი, რომელიც თავისით ვრცელდება ცეცხლის დანთებისთვის განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ;

- 2.14. საკანალიზაციო/წყალმომარაგების სისტემებიდან/მეზობლისგან ჩასული წყალი (დატბორვა) – დაზღვეულ საცხოვრებელში წყლის შესვლა ხელოვნური ავზების, მილების (ქალაქის ან სხვა საზოგადოებრივი წყალსაკანალიზაციო მილების ჩათვლით) და სხვა მოწყობილობების გასკდომის ან გაჟონვის შედეგად, რაც თავის მხრივ გამოწვეულია წყალ-საკანალიზაციო სისტემის უეცრად და მოულოდნელად (ავარიულად) მწყობრიდან გამოსვლით;
- 2.15. ალდგენითი ღირებულება - ფულადი თანხა, რომელიც საჭიროა დაზიანებული ქონების სრულად აღსადგენად, ალდგენითი სამუშაოებისა და მასალების / სათადარიგო ნაწილების ღირებულების ჩათვლით;
- 2.16. შენაცვლებითი ღირებულება – რეალური საბაზრო ღირებულება ქონების ასაკისა და მდგომარეობის გათვალისწინებით;
- 2.17. რეალური საბაზრო ღირებულება - ფულადი თანხა, რომელზეც მოცემულ გეოგრაფიულ არეალში არსებულ ბაზარზე გაიცვლება შესაფასებელი ქონება შეფასების თარიღისათვის ნებაყოფლობით მყიდველსა და გამყიდველს შორის დადებული სამართლიანი გარიგების შედეგად, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს კომპეტენტურად, გააზრებულად და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე;

2.18. დაზღვეული ქონება :

- ა) დაზღვევას ექვემდებარება **დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის** კანონიერ მფლობელობაში არსებული:
- ✓ განუყოფელი კონსტრუქციული ელემენტები (გარე კედლები, კიბეები, აივნები, გადახურვა, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები, თბო და ელექტროგაყვანილობა, შიდა გეგმარების კონსტრუქციული ელემენტები);
 - ✓ იატაკის, ჭერის, კედლების შიგა მოპირკეთება, კარები, ფანჯრები, ჩაშენებული ავეჯი, შეკიდული ჭერი;
 - ✓ ავეჯი;
 - ✓ საყოფაცხოვრებო ტექნიკა;
 - ✓ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები (ჭურჭელი, ხალიჩები, ფარდები, ფარდა-ჟალუზები და ა.შ.)
- ბ) ზემოთ ჩამოთვლილი ქონება ითვლება დაზღვეულად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი განთავსებულია **დაზღვეულ უძრავ ქონებაში** (საცხოვრებელ სახლში ან ბინაში) და მხოლოდ იმ პირობით, რომ ყველა საგანი, 300 აშშ დოლარის ღირებულების ზემოთ, ჩამოთვლილია ცალ-ცალკე შემენის თარიღის და შემენის ღირებულების მითითებით **პოლისის დანართში**.
- გ) დაზღვევას არ ექვემდებარება:
- ✓ ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი, ძვირფასი ქვები, ბუნებური და მისი ნაწარმი, ანტიკვარიატი, ხელოვნების ნიმუშები და სხვა სახის კოლექციები;
 - ✓ ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები, ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტები, საქმიანი წიგნები;
 - ✓ ხელნაწერები, ნახაზები, ნიმუშები;
 - ✓ კომპიუტერისა და სხვა სახის ანალოგიური სისტემების მონაცემთა მეხსიერების საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ფირი, საინფორმაციო ბლოკი და სხვა) და ინფორმაციის სხვა მატარებლები;
 - ✓ იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერებები;
 - ✓ გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები;
 - ✓ სავენტილაციო მილები, შახტები;
 - ✓ მცენარეები, ცხოველები, ფრინველები, თევზები, ქვეწარმავლები და სხვა ცოცხალი ორგანიზმები;
 - ✓ სატრანსპორტო საშუალებები;
 - ✓ სავაჭრო აპარატები, ბანკომატები;
 - ✓ ნაღდი ფული.

დ) დაზღვეული ქონება მითითებულია პოლისში/პოლისის დანართში.

2.19. დაზღვეული რისკები

წინამდებარე პირობების დაფარვის მიხედვით პოლისით განსაზღვრული ქონება დაზღვეულა შემდეგი რისკებისგან:

- ✓ ხანძარი
- ✓ აფეთქება
- ✓ წყალდიდობა, შტორმი, ქარიშხალი, გრიგალი, კოკისპირული წვიმა
- ✓ მეწყერი, მიწისძვრა
- ✓ საკანალიზაციო/წყალმომარაგების სიტემებიდან/მეზობლისგან ჩასული წყალი (დატბორვა) ქურდობა შეღწევით, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი

3. დაფარვა:

დაზღვეული ქონების დაზიანება/განადგურება/დაღუპვა/დაკარგვა დაზღვეული რისკის შედეგად, რომელიც მოხდა დაზღვევის მოქმედების პერიოდში.

4. გამონაკლისები - ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

- 4.1. ელექტრონული ან ელექტროხელსაწყოს დანაკარგი ან ზიანი, რომელიც გამოწვეულია მეხის დაცემის დროს აღნიშნული ხელსაწყოს ანტენასთან შეერთებულ მდგომარეობაში დატოვებით;
- 4.2. ცეცხლით გამოწვეული ზარალი, რომელიც არ არის გამოწვეული ხანძრით;
- 4.3. თვით ქონების მოულოდნელი ფერმენტაციით, ან გაცხელებით, ან დაზღვეული ქონების მიერ რაიმე სითბური პროცესის გავლით გამოწვეული ზიანი ან ზარალი;
- 4.4. ზიანი, რომელიც მიადგა ღია ცის ქვეშ დატოვებულ, ან ზიანის დადგომის მომენტისათვის უკვე დაზიანებულ და/ან დაშლილ შენობაში მყოფ ავეჯს, საყოფაცხოვრებო ტექნიკას და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს, კარებისა და ფანჯრების, ასევე, სახურავის ფანჯრების ღიად დატოვების გამო დამდგარი ზიანის ჩათვლით;
- 4.5. ნებისმიერი ზიანი, რომელიც მიადგა გარეთ მდებარე დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის საინჟინრო მოწყობილობას, გარე მოპირკეთებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული გამოწვეულია ხანძრით, ან დაზღვეული ბინის/შენობის კონსტრუქციული ელემენტების დაზიანებით;
- 4.6. ნებისმიერი ზარალი, გამოწვეული დაზიანებული ქონების მეთვალყურეობის გარეშე დატოვებით;
- 4.7. ზიანი, რომელიც გამოწვეულია მიწის სამუშაოების ჩატარების შედეგად ნიადაგის ხელოვნური დაწევით ან მოძრაობით, მდინარის ნაპირისა და მიმდებარე ტერიტორიის ეროზიით;
- 4.8. ზიანი, რომელიც გამოწვეულია სამშენებლო/ნგრევითი სამუშაოების ჩატარების შედეგად ირგვლივ არსებული ქონების დანგრევით, სტრუქტურის ცვლილებებით ან შეკეთებით, ასევე საძირკვლის სამშენებლო სამუშაოებით ან გათხრებით;
- 4.9. ზიანი, რომელიც მიადგა ეზოებს, ავტოსადგომებს, გზებს, ტროტუარებს, ჭიშკრებსა და ღობეებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულმა ზიანი მიაყენა დაზღვეულ საცხოვრებელს;
- 4.10. დანაკარგი ან ზიანი, რომელიც მოხდა წყლის მიღების, არხების, ავზების ან მოწყობილობების შეკეთების, გაუქმების, დაგრძელების ან გადატანის დროს;
- 4.11. ქურდობისა (შეღწევით) და ვანდალიზმის შედეგად დამდგარი ზარალი, თუ დაზღვეულ საცხოვრებელში ერთ თვეზე მეტი დროის განმავლობაში არავინ იმყოფებოდა;

- 4.12. ზიანი, რომლის მიზეზია დაზღვეული ქონების არსებული დეფექტები და ნაკლოვანებები, ცუდი კონსტრუქცია, მასალები ან მუშახელი;
- 4.13. დაზღვეული ქონების ნებისმიერი მიზეზით გამოყენება, გარდა საცხოვრებელისა;
- 4.14. ნებისმიერი სახის მოწყობილობის ან დანადგარის ელექტრონული დაზიანება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის გამოწვეული მოკლე ჩართვით ან დენის ცვალებადობით. ეს გამონაკლისი არ ეხება ამ შემთხვევით გამოწვეულ ხანძარს;
- 4.15. ქონების აუხსნელი გაუჩინარება, თაღლითობა, საკუთრების მითვისება, ქურდობა ძალისმიერი შეღწევის გარეშე;
- 4.16. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დაზღვეული საცხოვრებელი ავარიულ მდგომარეობაში მყოფ შენობათა რიცხვს მიეკუთვნა;
- 4.17. თუ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ ტერიტორია, სადაც იმყოფება დაზღვეული საცხოვრებელი გამოცხადებულია სტიქიური უბედურების ზონად;
- 4.18. თუ ზიანი გამოწვეულია შენობა/ნაგებობების კაპიტალური რემონტის ჩატარებით.

5. ანაზღაურების ოდენობა

სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა გამოითვლება შემდეგნაირად:

- 5.1. ქონების დაკარგვის/განადგურების შემთხვევაში:
 - ✓ კონსტრუქციული ელემენტებისათვის - მათი აღდგენის ღირებულება წლიური 2% ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით, ათვლილი ბოლო კაპიტალური რემონტის დასრულების თარიღიდან;
 - ✓ მოპირკეთებისათვის - აღდგენის ღირებულება წლიური 7% ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით, ხოლო არაუმეტეს 2 წლის (შიდა და გარე) მოპირკეთების შემთხვევაში - აღდგენის ღირებულება წლიური 0% ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით;
 - ✓ ავეჯისთვის - ახალი ანალოგის შეძენის ღირებულება წლიური 10% ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით, ათვლილი ბოლო რესტავრაციის დასრულების თარიღიდან;
 - ✓ საყოფაცხოვრებო ტექნიკისათვის - ახალი ანალოგის შეძენის ღირებულება წლიური 15% ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით;
 - ✓ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებისათვის - ახალი ანალოგის შეძენის ღირებულება.
 - ✓ ყოველთვიური ცვეთა იანგარიშება წლიური ცვეთის მიხედვით - პროპორციულად, და არასრული თვისათვის იანგარიშება როგორც სრული თვისათვის.
 - ✓ ქონებისთვის, რომელიც შეძენილია/შექმნილია არაუმეტეს 3 წლისა დაზღვევის დაწყების თარიღამდე, ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.
- 5.2. ქონების დაზიანების შემთხვევაში - შეკეთების, გამოსწორების, გაწმენდის ხარჯი, რომელიც საჭიროა დაზიანებული ქონების აღსადგენად, მაგრამ არაუმეტეს დაზიანებული ქონების აღდგენითი/შენაცვლებითი ღირებულებისა;
- 5.3. ანაზღაურებადი აღდგენითი (სარემონტო) ხარჯები მოიცავს:
 - ა) დანახარჯებს რემონტის მასალასა და სათადარიგო ნაწილებზე;
 - ბ) დანახარჯებს სარემონტო სამუშაოების ანაზღაურებაზე;
 - გ) დანახარჯებს, რომლებიც საჭიროა მასალების ადგილამდე მისატანად;
 - დ) სხვა დანახარჯებს, გაწეულს უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად.
- 5.4. ანაზღაურებას არ ექვემდებარება:
 - ა) დაზიანებული ობიექტის გაუმჯობესებაზე ან მისი მახასიათებლების ცვლილებაზე გაწეული დამატებითი დანახარჯები;

- ბ) ჩვეულებრივი ექსპლუატაციისას პროფილაქტიკურ რემონტსა და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები;
- გ) ხარჯები, რომელთა გაწევაც აუცილებელია **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისგან დამოუკიდებლად;
- დ) სხვა ხარჯები, რომლებიც აღემატება საჭიროებას.

- 5.5. აღდგენითი ხარჯები გამოითვლება სადაზღვევო შემთხვევის მომენტში არსებულ ფასებზე დაყრდნობით;
- 5.6. მზღვეველი ანაზღაურებს ხარჯებს, რომელთა გაწევაც შესაძლოა, საჭირო გახდეს წინა სარემონტო სამუშაოების ფარგლებში, თუ ამგვარი სამუშაოები საბოლოო რემონტის ნაწილია და არ ზრდის რემონტზე გაწეულ საერთო ხარჯს;
- 5.7. აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი გადებული უნდა იყოს დროულად და გონივრულ ფარგლებში. მზღვეველი არ იქნება პასუხისმგებელი იმ დამატებით ზარალზე, რომელსაც გამოიწვევს პირველადი დაზიანების დროულად არ აღმოფხვრა;
- 5.8. ნებისმიერ შემთხვევაში ანაზღაურების ოდენობა შემოიფარგლება სადაზღვევო ლიმიტით ფრანშიზის გათვალისწინებით. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისას სადაზღვევო თანხა მცირდება გადახდილი ანაზღაურების ოდენობით.

6. დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის ვალდებულებები

- 6.1. **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე** ვალდებულია გაუფრთხილდეს დაზღვეულ ქონებას. თუ მისთვის/მათთვის ცნობილი გახდება რაიმე საფრთხის შესახებ, რომელიც ემუქრება დაზღვეულ ქონებას, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ **მზღვეველს**.
- 6.2. თუ დაზღვეული ქონება ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული (ორმაგი დაზღვევა), **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე** ვალდებულია, ასეთი ინფორმაციის შეტყობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს **მზღვეველს** და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და მათი პასუხისმგებლობის მოცულობა. ასეთ შემთხვევაში, **მზღვეველი** დამდგარ ზარალში მონაწილეობას მიიღებს, როგორც სოლიდარული მოვალე მისი პასუხისმგებლობის პროპორციულად, მაგრამ **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლეს** არა აქვს უფლება, მიიღოს ჯამში დამდგარ ზიანზე მეტი თანხა.

სექცია III. ავტომფლობელის პასუხისმგებლობის შესამე პირ(ებ)ის წინაშე დაზღვევის პირობები

- 1. **ტერმინთა განმარტება:**
 - 1.1. **ავტოსაგზაო შემთხვევა** - საავტომობილო გზაზე **ავტოტრანსპორტის** მოძრაობის შედეგად და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა;
 - 1.2. **დაზღვევის ტერიტორია** - საქართველო;
 - 1.3. **უფლებამოსილი მძღოლი** – 21 წლის ზევით მქონე ასაკის ნებისმიერი პირი, მინიმუმ 1 წლის მართვის გამოცდილებით, რომელსაც კანონმდებლობის საფუძველზე აქვს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;
 - 1.4. **საავტომობილო გზა** - მყარი საფარის მქონე (საინჟინრო ნაგებობა) მაკავშირებელი სავალი ზოლი, რომლებიც ღიაა საერთო მოძრაობისათვის და განკუთვნილია საკუთარი თვლებით გადაადგილებადი ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის. მათ შორის ხიდეები, გვირაბები, მზიდვი კონსტრუქციები, გზათა გადაკვეთები, გზაჯვარედინები და გზათა განშტოებები, მათ შორის ე.წ. სოფლის გზა და მსგავსი საფარის მქონე გზები, გარდა რკინიგზებისა და ასაფრენ-დასაჯდომი მოედნებისა

2. დაფარვა:

2.1. სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვევის მოქმედების პერიოდში ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად მესამე პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი.

3. გამონაკლისები

სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა და დაზღვევა არ ვრცელდება:

- 3.1. ანაზღაურების იმ მოცულობაზე, რომელიც გაცემულიყო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში მიუხედავად იმისა, შეძენილია ზემოხსენებული დაზღვევა თუ არა;
- 3.2. ავტოტრანსპორტის მძღოლის ან მგზავრების გარდაცვალებაზე ან მათი ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანზე;
- 3.3. პიროვნების გარდაცვალებაზე ან სხეულის დაზიანებაზე, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის დროს იმყოფებოდა სამსახურებრივ/შრომით ურთიერთობაში დაზღვეულ პირთან;
- 3.4. დაზღვეული პირების ნათესავების გარდაცვალებაზე ან ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანზე;
- 3.5. ნებისმიერი ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც ეკუთვნის დაზღვეული პირს, მინდობილი საკუთრების სახით ინახება დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლესთან, გადაიზიდება ავტოტრანსპორტით ან ავტოტრანსპორტზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;
- 3.6. პასუხისმგებლობაზე, რომელიც წარმოიშვა დაზღვეული პირის ნებისმიერი სხვა კონტრაქტის, შეთანხმების საფუძველზე;
- 3.7. დაზარალებული პირისათვის გადახდილ კომპენსაციაზე/დაზარალებული პირის წინაშე აღებულ ან აღიარებულ პასუხისმგებლობაზე, თუ ამგვარი მოხდა მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
- 3.8. არ ანაზღაურდება მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ ასეთი შემთხვევა დადგება ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

გამონაკლის შემთხვევას ასევე წარმოადგენს:

- 3.9. ავტოტრანსპორტის მართვა არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- 3.10. ავტოტრანსპორტის მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში ყოფნა;
- 3.11. ავტოტრანსპორტის ექსპლუატაცია/მართვა ალკოჰოლური / ნარკოტიკული /ფსიქოტროპული ნივთიერების/საშუალების ზემოქმედების ქვეშ;
- 3.12. ავტოტრანსპორტის გამოყენება მგზავრთა/ტვირთის გადაყვანის მიზნით ან ავტოტრანსპორტის გაქირავება;
- 3.13. ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირთის ტრანსპორტირება, მისი დატვირთვა, გადმოტვირთვა;
- 3.14. ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც მოხდა ავტოტრანსპორტის გასხვისების შემდეგ;
- 3.15. შემთხვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ დაზღვევის ტერიტორიის გარეთ;
- 3.16. ავტოტრანსპორტის აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე მართვა/ყოფნა;
- 3.17. ზიანი, რომელიც დადგა არასავტომობილო გზაზე.

4. ანაზღაურების ოდენობა

4.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, წინამდებარე პირობების გათვალისწინებითა და მზღვეველსა და დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლეს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ანაზღაურდება შემდეგი:

- ✓ დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები;
 - ✓ მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება პოლისში მითითებული ჯამური სადაზღვევო ლიმიტის 20% ის ფარგლებში), თუ ისინი წერილობით იყო მზღვეველთან შეთანხმებული;
 - ✓ დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია;
 - ✓ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირი(ებ)სათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი შემდგომი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით.
- 4.2. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს, გამოანგარიშდება შემდეგი წესით:
- ✓ მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში – მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:
- ა) ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუუნარო გახდა;
- ბ) დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროთეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება
- აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;
- გ) ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით);
- ✓ თუ მესამე პირ(ებ)ს ქონებრივი ზიანი მიადგა, ჯამური სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, მზღვეველი აანაზღაურებს:
- ა) ქონების სრული განადგურების შემთხვევაში – ქონების საბაზრო ან აღდგენითი ღირებულების ოდენობას, განადგურებული ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურებისა და დარჩენილი დეტალების (რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია) ღირებულების გამოქვითვით;
- ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს;
- 4.3. ერთი ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული პასუხისმგებლობა განხილება ერთ სადაზღვევო შემთხვევად;
- 4.4. მესამე პირ(ებ)ისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს პოლისით ამ დაფარვისათვის გათვალისწინებულ ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს;
- 4.5. პოლისში ქველიმიტის არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურების ოდენობა იზღუდება ამგვარი ქველიმიტის გათვალისწინებით;
- 4.6. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება გამოსაყენებელ ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში გამოსაყენებელი ლიმიტის წილის გათვალისწინებით.

სექცია IV. სიცოცხლის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტებები:

- 1.1. **დაზღვეული** - პირი, რომლის მიმართ ხორციელდება დაზღვევა;
- 1.2. **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე** ვალდებულია, - დაზღვეულის გარდაცვალება. სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება და მზღვეველი არ გასცემს ანაზღაურებას თუ გარდაცვალება გამოწვეულია წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული რომელიმე გამონაკლისით;
- 1.3. დაზღვევის გეოგრაფიული ლიმიტი/არეალი - წინამდებარე დაზღვევა მოქმედებს მთელ მსოფლიოში (გამონაკლისის წარმოადგენს ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება გაეროს სანქციები);

2. დაფარვა

ამ დაზღვევით იფარება დაზღვეული პირის გარდაცვალება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ამ პირობებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

3. სიცოცხლის დაზღვევის გამონაკლისები:

მზღვეველი არ ანაზღაურებს ზარალს/ზიანს, რომლის მიზეზია:

- 3.1. დაზღვეულის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობა, ან თვითმკვლელობის მცდელობა, განზრახ თვითდაზიანება;
- 3.2. დაზღვეულის მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა ან სხეულის დაზიანება, რომელშიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ბრალი მიუძღვის დამზღვევეს და/ან მოსარგებლეს;
- 3.3. დაზღვეულის მიერ ნებისმიერი სახის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა ან ჩადენის მცდელობა;
- 3.4. ნებისმიერ საფრენ საშუალებაში ყოფნა, მასში შესვლა ან მისგან გამოსვლა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზღვეული არის რეგულარული/ჩარტერული ავიარეისის მგზავრი;
- 3.5. დაზღვეულის ფსიქიური დაავადება (დროებითი ან სხვაგვარი);
- 3.6. დაზღვეულის კრუნჩხვითი ან ვენერიული დაავადება;
- 3.7. ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან/და ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა;
- 3.8. ავტომობილტრანსპორტის მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან/და ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
- 3.9. დაზღვეულის მიერ ნებაყოფლობით არააუცილებელ ხიფათში თავის ჩაგდება, გარდა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მცდელობის შემთხვევისა;
- 3.10. დაზღვეულის მონაწილეობა ქვემოთ ჩამოთვლილ სპორტის სახეობებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდილია შესაბამისი დამატებითი სადაზღვევო პრემია): საჰაერო სპორტი, სპორტის საბრძოლო სახეობები, სპორტის ზამთრის სახეობები, ნებისმიერი სახის სიჩქარეზე შეჯიბრი (გარდა ფეხით მოძრაობისა), აკვალანგით ყვინთვა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია;
- 3.11. დაზღვეულის მონაწილეობა პროფესიულ სპორტის სახეობებში (შეჯიბრი, საჩვენებელი გამოსვლა, წვრთნა);
- 3.12. შემთხვევები, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულის მიერ არანებადართულ (შესაბამისი ლიცენზიის ან/და ნებართვის არქონა) ნადირობასთან;
- 3.13. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება შეიარაღებულ ფორმირებებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდილია შესაბამისი დამატებითი სადაზღვევო პრემია);
- 3.14. დაზღვევის მოქმედების დაწყებამდე არსებული მიზეზები;
- 3.15. შიდსი ან შიდსთან დაკავშირებული დაავადება, B და C ჰეპატიტი;

- 3.16. მაიონიზირებელი დასხივების ზემოქმედება;
- 3.17. ომი, უცხოელი აგრესორის მიერ განხორციელებული სამხედრო მოქმედებები (მიუხედავად ომის გამოცხადების თუ გამოუცხადებლობისა), სამოქალაქო ომი, აჯანყება, ბუნტი, რევოლუცია, სახალხო მღელვარება, სამხედრო ან უზურპატორული ძალაუფლების გამოყენება, ტერორისტული აქტები;
- 3.18. სანადლეოს პირობების, აკრობატული ილეთების შესრულება, რეკორდის დამყარება, რეკორდის დამყარების მცდელობა ან ამისათვის მოსამზადებელი ცდები;
- 3.19. აზბესტოზის რისკების სრული გამონაკლისის პირობა;
- 3.20. დაზღვეული იყენებს საჰაერო ხომალდს (რეაქტიური ძრავით ან ძრავის გარეშე), პლანერს, კოსმოსურ ხომალდს ან პარაშუტს;
- 3.21. დაზღვეული მართავს საჰაერო ხომალდს ან წარმოადგენს ეკიპაჟის წევრს;
- 3.22. დაზღვეული მძღოლის, შტურმანის ან მგზავრის სტატუსით მონაწილეობს სატრანსპორტო საშუალების გამოცდაში, უმაღლესი სიჩქარის გამოსავლენად;
- 3.23. გარდაცვალება გამოწვეულია უშუალოდ ბირთვული ენერჯით ან მისი შედეგებით;
- 3.24. გარდაცვალება გამოწვეულია რადიაციით;
- 3.25. თვითმკურნალობის შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესებას;
- 3.26. ფსიქიკური რეაქციით გამოწვეული პათოლოგიური მოშლილობა, განურჩევლად ფსიქიკური რეაქციის გამომწვევი მიზეზისა;

სექცია V. საერთო პირობები

ამ სექციაში ჩამოთვლილი ყველა პირობა ძალაშია ყველა II- IV სექციაში ჩამოთვლილი დაფარვისათვის.

1. საერთო გამონაკლისები

დაზღვევა არ ვრცელდება და შესაბამისად მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან დანაკარგის, განადგურების და ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია:

- ✓ დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლის მიერ ჩადენილი განზრახ ქმედებით, უხეში გაუფრთხილებლობით ან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით;
- ✓ ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს ბრძანებით, განკარგულებით, ქმედებით, კონფისკაციით, რეკვიზიციით, ექსპროპრიაციით ან ამგვართა მცდელობით;
- ✓ ომით, დაპყრობით, უცხოელი მტრის ქმედებებით, საომარი მოქმედებებით (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია ომი, თუ - არა), საზოგადოებრივი არეულობებით, სამოქალაქო ომით, აჯანყებით, რევოლუციით, ამბოხებით ან სამხედრო ან უკანონო ხელისუფლებით, ტერორიზმის ნებისმიერი აქტით, სხვა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით, დაზღვეული ფორს-მაჟორული რისკების გამოკლებით;
- ✓ იონიზირებული რადიაციით, რადიოაქტიური დაბინძურებით, ნებისმიერი სახის რადიოაქტიური გამოსხივების მქონე ბირთვული საწვავით ან რადიოაქტიური წვის შედეგად მიღებული ნარჩენებით, ბირთვული კომპონენტებით;
- ✓ რადიოაქტიური, მომწამლავი, ფეთქებადი ან სხვა საშიში ნაერთების, ქიმიური ნივთიერებებით ან აირებით გამოწვეულ ზარალს;
- ✓ ქმედებით, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მზღვეველს უფლებამოსილებას ანიჭებს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე;

ასევე:

- ✓ თუ პოლისი გაცა დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი არასწორი ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე;

✓ რომელიც დაკავშირებული ან განპირობებულია ნებისმიერი რისკით გარდა დაზღვეულისა.

2. სადაზღვევო პრემიის გადახდა

- 2.1. წინამდებარე პირობების საფუძველზე დამზღვევის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის გრაფიკი განისაზღვრება ამავე პირობების შესაბამისად გაცემული სადაზღვევო პოლისით;
- 2.2. სადაზღვევო პრემიის ოდენობა დგინდება მზღვეველის მიერ დაზღვევის ობიექტის სახეობის, მისი ღირებულების, რისკის ხარისხისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით;
- 2.3. პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან;
- 2.4. სადაზღვევო პრემია შეიძლება გაიზარდოს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, თუ გაიზრდება რისკი ან/და შეიცვლება დაზღვეული ქონების გამოყენების მიზანი;
- 2.5. თუკი დაზღვევის შესაბამისი პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის ან მისი ნაწილის გადახდა ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წინამდებარე პირობების ხელმოწერისთანავე მზღვეველის წარმომადგენლობაში, რაზედაც გაიცემა თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან/და მზღვეველის მიერ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხვით (უნაღდო ანგარიშსწორება);
- 2.6. პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, ქონების დაზღვევის ნაწილში, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ქონების სრული განადგურებისას გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება ის თანხა, რომელიც დამზღვევს განვადების პირობების მიხედვით, დარჩენილ პერიოდში აქვს გადასახდელი, ხოლო ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში - სადაზღვევო პრემიის არსებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამ პუნქტის საფუძველზე ჩათვლილი თანხები ჩაითვლება გადახდილი სადაზღვევო პრემიის ოდენობაში;
- 2.7. სადაზღვევო პრემიის ერთჯერადად ანგარიშსწორებისას, თუკი დაზღვევის მოქმედება წყდება ვადამდე, მზღვეველი იღებს ვალდებულებას, დაუბრუნოს დამზღვევს გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული სადაზღვევო პოლისის ფარგლებში, რომლის გაუქმებაც ხდება ვადაზე ადრე, განვლილი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება ან დაზღვევის ვადამდე შეწყვეტა ხდება დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო;
- 2.8. მხარეები თანხმდებიან, რომ სადაზღვევო პრემიის გადახდის თარიღთან და ოდენობასთან, ასევე, დავალიანების (ასეთის წარმოშობის შემთხვევაში) დაფარვასთან და მისი დაუფარველობის შედეგებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევთან კომუნიკაცია განახორციელოს დამზღვევის მიერ დაზღვევის განაცხად-ანკეტაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, ელ. ფოსტის მისამართზე, როგორც ტექსტური/წერილობითი შეტყობინების გაგზავნის ისე ზეპირი კომუნიკაციის გზით და აღნიშნულ კომუნიკაციას ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც ქალაქის მატარებელზე განხორციელებულს.

2.9. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესების დარღვევა:

- 2.9.1. „დამზღვევის“ მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში „მზღვეველი“ უფლებამოსილია შეაჩეროს სადაზღვევო მომსახურება „დამზღვევის“ მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. ამასთან, დავალიანების დაფარვის შემდეგ, თუკი დავალიანების წარმოშობის დღისა და დაფარვას შორის პერიოდი აღემატება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს (ან შესაბამისი პოლისით განსაზღვრულ ვადას), „მზღვეველი“ დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევებად და შესაბამისად უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;
- 2.9.2. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევს დაარიცხოს პირგასამტეხლო დავალიანების თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდება იმ შემთხვევაში თუკი, დავალიანების ვადა აღემატება ორ კალენდარულ კვირას;
- 2.9.3. დავალიანების თაობაზე წერილობითი შეტყობინების (როგორც ელ. ფოსტის ასევე ქალაქის მატარებელზე) გაგზავნის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევს განუსაზღვროს ვადა (არაუმეტეს ორი კალენდარული კვირისა) სადაზღვევო პრემიის დავალიანების დაფარვისთვის, რომლის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება და გააუქმოს მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისი(ები);
- 2.9.4. ხელშეკრულების/პოლისი(ებ)ის მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს დამზღვევს შეწყვეტის თარიღისთვის გამომუშავებული სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან.

3. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება

3.1. დაზღვევის პროცედურა სრულდება პოლისის გაცემით. იმისათვის, რათა პოლისი შევიდეს ძალაში:

- ✓ პოლისი უნდა იყოს დადასტურებული მზღვეველის ბეჭდით და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და
- ✓ გადახდილი უნდა იყოს სადაზღვევო პრემიის პირველი შენატანი.

3.2. დამზღვევი პასუხისმგებელია მზღვეველს მიაწოდოს სრული და უტყუარი ინფორმაცია. დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად დამზღვევეს უნდა ჰქონდეს დაზღვეული ქონების შენარჩუნების ინტერესი (საცხოვრებელი ბინა ან სახლი, ავტოსატრანსპორტო საშუალება, უნდა იყოს მისი / მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში/კანონიერ მფლობელობაში). წინააღმდეგ შემთხვევაში დაზღვევის ხელშეკრულებას არ აქვს იურიდიული ძალა.

3.3. დაზღვევის ხელშეკრულება შესაძლებელია შეიცავდეს რაიმე დამატებით პირობას, რომელიც ასახული იქნება პოლისში ან მის დანართში.

3.4. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადა მითითებულია პოლისში. დაზღვევა ძალაშია პოლისში მითითებული თარიღის პირველი დღის 24 საათიდან და მოქმედებს პოლისით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის 24 საათამდე.

4. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა:

4.1. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება შესაძლებელია შეწყდეს ერთიანი ვადის დაცვით წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შემდეგ გარემოებებში:

- ✓ პოლისით გათვალისწინებულ ვადებში პრემიის გადაუხდელობისას;
- ✓ სადაზღვევო რისკის გაზრდის შემთხვევაში დამზღვევის მიერ დამატებითი პრემიის გადახდაზე/დაზღვევის პირობების შეცვლაზე უარის განცხადებისას;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

4.2. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა/გაუქმება:

- ✓ დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს წინასწარი 3 დღიანი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მზღვეველის ინიციატივით დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებისას მზღვეველი დამზღვევეს უბრუნებს გამოუმუშავებელ პრემიას დარჩენილი ვადის პროპორციულად დაზღვევის პერიოდის დასრულებამდე.

- ✓ დამზღვევის ინიციატივით დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებისას მზღვეველი აბრუნებს გამოუმუშავებელ პრემიას დარჩენილი ვადის პროპორციულად დაზღვევის პერიოდის 2 თვის გამოუმუშავებელი პრემიის გამოკლებით.

4.3. თუ გაუქმების მომენტისათვის განცხადებული/ანაზღაურებელი იყო სადაზღვევო შემთხვევები, გამოუმუშავებელი პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმების მომენტისათვის, დასაბრუნებელი პრემია ნაკლებია დამზღვევის დავალიანებაზე მზღვეველის მიმართ, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სხვაობა.

4.5. დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის თაობაზე განცხადების წარმოდგენისთანავე წყდება მზღვეველის ვალდებულება შეტყობინების განხორციელებიდან შეწყვეტის მომენტამდე დამდგარ შემთხვევებზე გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. დაზღვეული უძრავი ქონების ან ავტოსატრანსპორტის გასხვისებისას დაზღვევა წყდება გასხვისების მომენტიდან.

4.6. ნებისმიერ შემთხვევაში დაზღვევა წყდება

- ✓ ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შედეგად;
- ✓ სადაზღვევო თანხის ამოწურვის შედეგად;

✓ სადაზღვევო ინტერესის შეწყვეტის შემთხვევაში

5. არსებითი გარემოებები

5.1. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედებისას დამზღვევი ან მოსარგებლე ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს იმ ცვლილების შესახებ, რომელიც ეხება დაზღვევის ობიექტს და რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს რისკის ხარისხის ზრდაზე. მაგალითად:

ა) დაზღვეული უძრავი ქონების გადაცემა იჯარით;

ბ) დაზღვეულ უძრავი ქონებაზე უფლებების გადასვლა სხვა პირზე;

გ) დაზღვეული უძრავი ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება ან განადგურება მიუხედავად იმისა, ექვემდებარება თუ არა ეს ზარალი მზღვეველის მიერ ანაზღაურებას;

დ) დაზღვეული უძრავი ქონების გამოყენების შეცვლა, შენობების (ნაგებობების) დანგრევა, კაპიტალური რემონტი, რეკონსტრუქცია ან ხელახლა მოწყობა, უმოსახლოდ დატოვება 1 თვეზე მეტი ვადით და ა.შ.

ე) ავტოტრანსპორტის მოდიფიკაცია;

ვ) ცვლილებები ავტოტრანსპორტის გამოყენების წესში;

5.2. თუ დამზღვევი ან მოსარგებლე არღვევს ზემოთ აღნიშნულ პირობას, მზღვეველს უფლება აქვს, მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა და ამით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

5.3. მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო რისკის გაზრდის შესახებ ინფორმაციის მიღებისას, მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების პირობების ან სხვა პარამეტრების გადახედვა; თუ დამზღვევი ან მოსარგებლე არ დაეთანხმება მზღვეველის მიერ შეთავაზებულ ცვლილებებს, დაზღვევის ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას რისკის გაზრდის მომენტიდან;

5.4. მზღვეველს უფლება აქვს, სადაზღვევო პერიოდში განახორციელოს დაზღვეული უძრავი ქონების და ავტოტრანსპორტის ინსპექტირება, და გადაამოწმოს დამზღვევის მიერ მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობა.

6. სადაზღვევო შემთხვევის დროს დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის ვალდებულებები:

6.1. დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მზღვეველის 24 საათიან ასისტანსის სამსახურს ტელეფონის ნომერზე +995 32 2 203333 და მიაწოდოს სრული ინფორმაცია შემთხვევის შესახებ;

6.2. დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია, გამოიძახოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლები (სახანძრო, პატრული, საავარიო, ა.შ.); ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომისას ყველა შემთხვევაში საპატრულო პოლიცია;

6.3. დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია, მზღვეველის წარმომადგენლების, პოლიციის ან სხვა კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლების შემთხვევის ადგილზე მისვლამდე შეკრიბოს წინასწარ ხელმისაწვდომი ინფორმაცია შემთხვევის მიზეზისა და გარემოებების შესახებ (მაგალითად, სახელდახელო აქტი ადგილობრივი ადმინისტრაციის, სხვა ოფიციალური ორგანოების წარმომადგენლების), ასევე მოწმეების მონაწილეობით. შეეცადოს, დააფიქსიროს ზარალი (ფოტო ან ვიდეო);

6.4. დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია, მიიღოს გონივრული და ხელმისაწვდომი ზომები სადაზღვევო შემთხვევის დროს ზარალის შეწყვეტის, შემცირების ან ქონების გადარჩენის მიზნით;

6.5. დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია, მზღვეველის წარმომადგენლების მისვლამდე არ შეეხოს დაზიანებულ ობიექტს, თუ ეს არ არის აუცილებელი უსაფრთხოების ან ზარალის შემცირების მიზნით ან არ არის შეთანხმებული მზღვეველთან;

6.6. **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე** ვალდებულია, სადაზღვევო შემთხვევიდან 72 საათის განმავლობაში წერილობით მიმართოს **მზღვეველს** პოლისში აღნიშნული საკონტაქტო ინფორმაციის მიხედვით და წარუდგინოს დაზიანებული ქონების აღწერილობა;

6.7. **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე** ვალდებულია, ანაზღაურების მიღების მიზნით შეავსოს წერილობითი განაცხადი, სადაც უნდა მიუთითოს ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ და ზარალის სავარაუდო მოცულობა;

6.8. **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე** ვალდებულია, **მზღვეველს** წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

ა) წერილობითი შეტყობინება ზარალის შესახებ;

ბ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;

გ) **უძრავი ქონების** დაზიანების შემთხვევაში - **სადაზღვევო შემთხვევის** მომენტში საკუთრების უფლების ან სხვა კანონიერი ინტერესის დამადასტურებელი საბუთი (საკუთრების უფლების მოწმობა, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, იჯარის ხელშეკრულება და ა.შ.);

დ) ავტოსაგზაო შემთხვევისას:

- ✓ ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა;
- ✓ იმ პირის მოწმობა, რომელიც მართავდა ავტოტრანსპორტს სადაზღვევო შემთხვევის მომენტში;
- ✓ ცნობა პოლიციიდან მომხდარის შესახებ (შემთხვევის დადგომაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით);
- ✓ ცნობა მძღოლის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ ყოფნის ფაქტის დადგენის თაობაზე;
- ✓ თითოეული დაზარალებულის სახელზე შედგენილი აქტი, რომელიც დაკავშირებულია ავტოსაგზაო შემთხვევასთან;
- ✓ სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები მესამე პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების სიმძიმისა და ხასიათის ან მისი გარდაცვალების მიზეზის შესახებ. აგრეთვე, ინფორმაცია ზიანის დადგომის მომენტისათვის დაზარალებულის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ შესაძლო ყოფნის შესახებ;
- ✓ ცნობა გარდაცვალების შესახებ და მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთები (დაზარალებული პირის სიკვდილის შემთხვევაში).

ე) სიცოცხლის დაზღვევის საფუძველზე ანაზღაურების მისაღებად **აუცილებელი პირობაა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:**

- ✓ დაზღვეულის გარდაცვალების დამადასტურებელი ოფიციალური ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება დაზღვეულის ასაკი და დაზადების თარიღი.
- ✓ სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი მიზეზები.
- ✓ სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი აქტი.
- ✓ დაზღვეულის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დამატებითი საბუთები/ინფორმაცია, რომელსაც მზღვეველი ჩათვლის საჭიროდ. ამავდროულად, მზღვეველი უფლებამოსილია თავად ჩაატაროს დამატებითი გამოკვლევები.

6.9. ავტოსაგზაო შემთხვევისას დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე აგრეთვე ვალდებულია:

- ✓ დროულად შეატყობინოს მზღვეველს მესამე პირის დაზიანებული ქონების დათვალიერების/ექსპერტიზის ჩატარების დრო და ადგილი (მის შეკეთებამდე) და ზარალის ოდენობის განსაზღვრისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით მისცეს საშუალება ჩაატაროს დამოუკიდებელი ექსპერტიზა;
- ✓ სისტემატურად შეატყობინოს მზღვეველს შემთხვევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების კვლევის შესახებ და, აგრეთვე, მიიღოს მონაწილეობა ასეთ გამოკვლევაში;

- ✓ მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ დაზარალებულმა მხარემ, **მზღვევის** მიერ ზარალის ანაზღაურებაზე მოთხოვნის განხილვამდე, არ მიმართოს სასამართლოს;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, გადასცეს **მზღვევს** ან მის მიერ მითითებულ პირს შემდეგი უფლებები:
 - ა) წარმოადგინოს **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე** პირი სასამართლო პროცესში, ყველა პროცესუალური უფლებამოსილებით, ქონებრივ მოთხოვნებზე პასუხისმგებლობის აღიარების (სარჩელის ცნობის) უფლების ჩათვლით;
 - ბ) აწარმოოს მოლაპარაკებები დაზარალებულ პირებთან და მათ წარმომადგენლებთან.
 - ✓ **მზღვევის** წერილობითი თანხმობის გარეშე არ აღიაროს მესამე პირის მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებაზე, არ აიღოს ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულება და არ აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.
- 6.10. **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე** ვალდებულია **მზღვევს** წარუდგინოს ყველა ის ცნობა და დოკუმენტი, რომელსაც **მზღვევი** მოითხოვს ზარალის დარეგულირების პროცესში;
- 6.11. **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე** ვალდებულია **მზღვევს** მისცეს იმის შესაძლებლობა, რომ დაათვალიეროს ან გამოიკვილოს შემთხვევის ადგილი, გამოიძიოს მიზეზები და ზარალის მოცულობა;
- 6.12. აქ მითითებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, **მზღვევს** აქვს სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის უფლება.

7. გადაწყვეტილება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე

მზღვევი ვალდებულია, შეადგინოს გადაწყვეტილება სადაზღვევო ანაზღაურების შესახებ 15 კალენდარული დღის ვადაში იმ თარიღიდან, როდესაც დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლისგან მიიღებს **სადაზღვევო შემთხვევის** გარემოებების, ზიანის ოდენობისა და მისი ვალდებულების წარმოშობის განსაზღვრისა და დადგენისათვის ყველა აუცილებელ დოკუმენტსა და ინფორმაციას, როგორც ამას წინამდებარე პირობები ადგენს.

8. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

- 8.1. **მზღვევი** გასცემს **სადაზღვევო ანაზღაურებას** მის მიერ ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, თუ ადგილი არა აქვს ანაზღაურების გადადებას, როგორც ამას წინამდებარე პირობების შესაბამისი სექცია ითვალისწინებს; ამასთან, **ვანდალიზმის, ქურდობის შეღწევით, ძარცვის, ყაჩაღობის** რისკზე **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას **სადაზღვევო ანაზღაურება** გაიცემა არაუადრეს შემთხვევის დადგომიდან 1 (ერთი) თვისა;
- 8.2. **მზღვევი** უფლებას იტოვებს გადადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით აღმრულია სისხლის სამართლის საქმე;
- 8.3. იმ შემთხვევაში, თუკი წინასწარი საგამოძიებო დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სადაზღვევო შემთხვევა ექვემდებარება ანაზღაურებას, **მზღვევი** უფლებამოსილია გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე პირობების შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების დასრულების შემდეგ შეიცვალა ვითარება, **მზღვევი** უფლებამოსილია მოითხოვოს არასწორად გადახდილი (ანაზღაურებული ზარალის) თანხის უკან დაბრუნება, ხოლო დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია უპირობოდ დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა, არაუგვიანეს გამოძიების დასრულებიდან და შესაბამისი გარემოებების დადასტურებიდან 10 (ათი) კალენდარული დღისა;
- 8.4. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლა რეგულირდება წინამდებარე პირობების შესაბამისი დაზღვევის სექციების დებულებების მიხედვით;
- 8.5. პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება შემცირდება ჯამური გადაუხდელი პრემიის ოდენობით, თუ ადგილი აქვს შესაბამისი სადაზღვევო ლიმიტის ამოწურვას სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შედეგად;
- 8.6. თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის დამზღვევს ერიცხება დავალიანება, **მზღვევი** უფლებამოსილია ანაზღაურების თანხიდან გამოქვითოს შესაბამისი დავალიანების თანხა.

9. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმა

- 9.1. შესაბამის განყოფილებებში მითითებული გამონაკლისების გარდა, ყველა სექციისთვის, ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემდეგი შემთხვევები:
- ✓ ადგილი აქვს განზრახ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელიც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან;
 - ✓ დამზღვევის მიერ წარმოდგენილი რისკის შეფასების/სადაზღვევო შემთხვევის აღიარების/სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისათვის საჭირო ინფორმაცია (დოკუმენტები) არის არაზუსტი ან ყალბი;
 - ✓ მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე დაზღვეული/ბენეფიციარი გადაუხადის მესამე პირს კომპენსაციას ან აუნაზღაურებს სასამართლო ან/და სასამართლოს გარეშე დაცვის ხარჯებს;
 - ✓ დამზღვევი გადააცილებს მიერ მორიგი პრემიის / ტრანშის გადახდისთვის დადგენილ ვადას;
 - ✓ დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე უარი გადაცხადებს უზრუნველგეყოს მზღვეველის წარმომადგენლის მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდისა და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკვლევა-მომძიებაში.
- 9.2. მზღვეველს შეუძლია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე შემდეგ შემთხვევებში:
- ✓ დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე არ ასრულებს მასზე/მათზე ამ სადაზღვევო პირობებით დაკისრებულ ვალდებულებებს;
 - ✓ დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე არ აწვდის მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ინფორმაციას (შეტყობინება) იმ ვადებში, რომელიც შეთანხმებულია პოლისითა და წინამდებარე პირობებით და აღნიშნული შეუტყობინებლობით არსებითად შეილახა მზღვეველის ინტერესები.
 - ✓ დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე არ წარმოდგენს მზღვეველის მიერ მოთხოვნილ, ამ პირობებით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტს;
 - ✓ დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე უარს განაცხადებს იმ საბუთების მზღვეველისთვის გადმოცემაზე, რომლებიც საჭიროა ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად;
 - ✓ მზღვეველის მიერ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლეს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდების მზღვეველისთვის წერილობითი ფორმით.
- 9.3. დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლეს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარი წარედგინება წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება ანაზღაურებაზე უარის გაცხადების დასაბუთებული მიზეზები.

10. დამოუკიდებელი ექსპერტიზა

- 10.1. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის წარმოიქმნება დავა ზარალის სიდიდის განსაზღვრის და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თითოეული მხარე უფლებამოსილია დანიშნოს და ჩაატროს დამოუკიდებელი ექსპერტიზა ზარალის გამომწვევი მიზეზების და ოდენობის უფრო ზუსტად დასადგენად. დამოუკიდებელი ექსპერტიზა ხორციელდება ექსპერტის ან საექსპერტო კომისიის მიერ, რომელიც ინიშნება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- 10.2. დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების დაფარვა ევალება მხარეს, რომლის ინიციატივითაც ხდება ექსპერტიზის ჩატარება.

11. რეგრესის პირობა

- 11.1. თუკი მესამე პირმა დაზღვეულს ან მოსარგებლეს აუნაზღაურა ზარალი, მაშინ მზღვეველი იხდის მხოლოდ სხვაობას დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით ასანაზღაურებელ თანხასა და მესამე პირის მიერ

დაზღვეული/მოსარგებლისთვის გადახდილ თანხას შორის. **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე** ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მესამე პირისაგან აღნიშნული თანხის მიღების შესახებ. მიიღოს ყველა ზომა, რათა უზრუნველყოს **მზღვეველის** რეგრესული მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, რომლებიც პასუხს აგებენ **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად მიყენებულ ზიანზე, რადგან **სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას, მზღვეველის** მიერ გაცემული თანხის ფარგლებში **მასზე გადადის** ის მოთხოვნის უფლება, რომელიც **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლეს** გააჩნია ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის/ბრალეული მხარის მიმართ;

11.2. იმ შემთხვევაში, თუ **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლის** მიზეზით **მზღვეველი** ვერ ისარგებლებს რეგრესული მოთხოვნით, **იგი** უფლებამოსილია, უარი განაცხადოს **სადაზღვევო ანაზღაურებაზე**, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მოვითხოვოს თანხის დაბრუნება.

12. დანახარჯები გადარჩენაზე

მზღვეველი ანაზღაურებს დაზღვეული ობიექტის გადარჩენისთვის გაწეულ დანახარჯებს, თუ ისინი არ აღემატება თავიდან აცილებული ზარალის ოდენობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ დანახარჯებმა არ გამოიღეს ეფექტური შედეგი, მხოლოდ იმ პირობით თუკი წინასწარ შეთანხმებული იყო **მზღვეველთან**.

13. პოლისის პირობების შესრულების ვალდებულება

მზღვეველი ანაზღაურებს ზარალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე** იცავს ამ პოლისის პირობებს;

14. დავების გადაწყვეტა

უთანხმოებანი, რომლებიც წარმოიშვება ამ პირობების მიხედვით, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობისას საქმე გადაეცემა საქართველოს სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

15. კონფიდენციალობა

15.1. **მხარეების** მიერ ერთმანეთისთვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მიუხედავად მისი ზეპირი თუ წერილობითი ფორმისა), რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ ეს დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ამასთან:

- ✓ წინამდებარე პირობებზე ხელმოწერით დამზღვევი (დაზღვეული, მოსარგებლე) აცხადებს თანხმობას, რომ **მზღვეველი** უფლებამოსილია, ამავე ხელშეკრულება/პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში დამდგარი ნებისმიერი შემთხვევის შესახებ ინფორმაცია ასახოს შპს „სადაზღვევო-საინფორმაციო ბიუროს“ საინფორმაციო ბაზაში და ხელმისაწვდომი გახადოს სხვა სადაზღვევო კომპანიებისათვის;
- ✓ წინამდებარე პირობებზე ხელმოწერით დამზღვევი (დაზღვეული, მოსარგებლე) ასევე აცხადებს თანხმობას, რომ **მზღვეველი** უფლებამოსილია, ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზიდან, მიიღოს ინფორმაცია დამზღვევის (დაზღვეული, მოსარგებლე, უფლებამოსლი მძღოლი) მიერ საგზაო მოძრაობის სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ.

16. შეტყობინება და ინფორმაციული უზრუნველყოფა

16.1. მხარეთა მიერ ერთმანეთის დაუყოვნებელი ინფორმაციული უზრუნველყოფა ხდება ტელეფონის, ფაქსის ან/და კავშირის საყოველთაოდ აღიარებული სხვა საშუალებებით.

- 16.2. ინფორმაცია მიწოდებულად ჩაითვლება მხარის ან/და ამ მიზნისათვის სპეციალურად უფლებამოსილი პირის ტელეფონის, ფაქსის ან/და კავშირის საყოველთაოდ აღიარებული სხვა საშუალებებით კონტაქტის დაფიქსირებით.
- 16.3. მხარეთა მიერ ერთმანეთის წერილობითი ინფორმაციული უზრუნველყოფა ხდება დაზღვეული წერილის ან/და წერილობითი დოკუმენტის კონტრაგენტისათვის ან/და ამ მიზნისათვის სპეციალურად უფლებამოსილი პირისათვის პირადად ჩაბარებით.
- 16.4. სადაზღვევო პოლისის მიზნებისათვის მზღვეველის საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის გამოიყენება მისი წარმომადგენლობის ფაქტიური ადგილსამყოფელი ან/და „აისი ასისტანსის“ სამსახური.

17. ცვლილებები და დამატებები

ამ პირობებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა უნდა გაფორმდეს წერილობით, რომელიც ძალაში შევა მხარეების ან ამისთვის უფლებამოსილი პირების მიერ მისი ხელმოწერისთანავე. შესაბამისი წესით გაფორმებული ცვლილება ან/და დამატება თან ერთვის პოლისს და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

18. ფორს-მაჟორული გარემოებები

ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას (ომი, სტიქიური უბედურება, მთავრობის აქტები ან/და სხვა ისეთი გარემოებანი, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე), მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით აცნობებენ ამის შესახებ ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულების შესრულება გადავადდება ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრამდე ან/და გამოსწორებამდე.

სს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი“-ს დაზღვევის
პირობებს გავცანი და სრულად ვეთანხმები

_____ („დამზღვევი“)